თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სხდომის

ოქმი #55

ქ. თბილისი 2024 წელი, 19 ნოემბერი, 11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რევაზ სოხაძე (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ზურაბ აბაშიძე, ნიკოლოზ კახეთელიძე, ოთარ გრიგოლია, გივი ჩხარტიშვილი, კონსტანტინე ზარნაძე,

სხდომას არ ესწრებოდა კომისიის წევრი: ნინო წულაძე (03-03243242; 03-032432435), მამუკა გუგეშაშვილი (03-032432435), ლილე ლიპარტელიანი, საბა ბუაძე, ზაზა თავაძე, შოთა გრიგოლია

სხდომის თავმჯდომარე: რევაზ სოხაძე

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

გაიოზ თალაკვაძე - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი
ლევან მიქავა - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

№	ს ა კ ი თ ხ ი ს დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა
1.	"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-032431943-03-14.11.2024)

კომისიის თავმჯდომარე ბატონი რევაზ სოხაძე მიესალმა კომისიის წევრებს და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ ხმათა უმრავლესობით დაამტკიცა დღის წესრიგი.

"ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცების თაობაზე (საკრებულოს #12-032431943-03-14.11.2024)

საკითხი წარმოადგინა თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვძემ. მისი თქმით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრა 1 826 308,6 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 763 354,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 62 953,9 ათასი ლარით. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსება: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 631 765,7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 209 514,6 ათასი ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 223 195,4 ათასი ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 975,2 ათასი ლარი; განათლება - 261 539,9 ათასი ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 32 444,0 ათასი ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 779,2 ათასი ლარი. ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 253 718,8 ათასი ლარი. ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 1 746 308,6 ათასი ლარის ოდენობით. მათ შორის: ü გადასახადები 905 656,0 ათასი ლარი დამატებული ღირებულების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 600 656,0 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (643 661,8 ათასი ლარი) შედარებით შემცირებულია 43 005,8 ათასი ლარით. ქონების გადასახადიდან მისაღები შემოსავალი შეადგენს 305 000,0 ათას ლარს, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან (275 000,0 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 30 000,0 ათასი ლარით. მათ შორის: 2 საწარმოთა ქონებაზე გადასახადი 252 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (225 000,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 27 000,0 ათასი ლარით; ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადი 33 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (30 000.0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 3 000,0 ათასი ლარით; მიწაზე ქონების გადასახადი 20 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამისი მაჩვენებლის დონეზეა. ü გრანტები 514 174,6 ათასი ლარი, რაც 2024 წლის დამტკიცებულ მაჩვენებელთან მიმართებაში გაზრდილია 5 264,7 ათასი ლარით (სხვა კაპიტალური გრანტების ხარჯზე) მათ შორის: - მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 444,6 ათასი ლარი (გადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლისათვის); - სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები სპეციალური ტრანსფერი 500 000,0 ათასი ლარი. - სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 13 300,0 ათასი ლარი (მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში

დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 5 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 000,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურების ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 300,0 ათასი ლარი, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 2 500,0 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურების და თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 500,0 ათასი ლარი). ü სხვა შემოსავლები 326 478,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან (280 683,0 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 45 795,0 ათასი ლარით. მათ შორის: - შემოსავალი საკუთრებიდან – 16 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 7 000,0 ათასი ლარით პროცენტებიდან მისაღები შემოსავლების ზრდის ხარჯზე; - ადგილობრივი სანებართვო მოსაკრებელი - 23 791,4 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5 596,6 ათასი ლარით; - სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი – 60 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით შემცირებულია 10 000,0 ათასი ლარით; - მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 80 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 5 000,0 ათასი ლარით ; - სანქციები (ჯარიმები და საურავები) 115 000,0 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 15 000,0 ათასი ლარით; - სხვადასხვა შემოსავლები – 31 686,6 ათასი ლარი, რაც 2024 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 23 198,4 ათასი ლარით. 3 ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელები ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის გადასახდელები შეადგენს 1 826 308,6 ათას ლარს. მათ შორის: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ხარჯები - განსაზღვრულია 1 539 257,4 ათასი ლარით, მათ შორის: შრომის ანაზღაურება 145 645,2 ათასი ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლით გათვალისწინებულია 187 200,1 ათასი ლარი, პროცენტი 40 340,3 ათასი ლარი, სუბსიდიები 723 680,4 ათასი ლარი, გრანტები 1 434,3 ათასი ლარი, სოციალური უზრუნველყოფა 155 145,7 ათასი ლარი, სხვა ხარჯები 285 811,4 ათასი ლარით. არაფინანსური აქტივების ცვლილება წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 162 595,9 ათას ლარს, მათ შორის: – არაფინანსური აქტივების ზრდა – 242 595,9 ათასი ლარი. – არაფინანსური აქტივების კლება – 80 000,0 ათასი ლარი (მათ შორის საცხოვრებელი სახლების ფართის გაყიდვიდან - 30 000,0 ათასი ლარი). ვალდებულებების ცვლილება 2025 წლისათვის ვალდებულებების ცვლილება (44 455,3) ათასი ლარი, რომელიც მთლიანად ვალდებულებების კლებას შეადგენს. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 2025 წლისათვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვრა 44 455,3 ათას ლარით, რაც ნიშნავს რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი არის პროფიციტური. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტით

განისაზღვრა თბილისის პრიორიტეტები: v სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 631 765,7 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (567 498,1 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 64 267,6 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთების პროგრამისათვის გათვალისწინებულია 101 706,0 ათასი ლარი, მათ შორის რაიონების გზების მოვლა-შეკეთების ქვეპროგრამებისთვის ჯამში - 51 706,0 ათასი ლარი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებისათვის - 38 157,2 ათასი ლარი (მათ შორის ახალი ავტობაზის მშენებლობისთვის - 15 797,6 ათასი ლარი, მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KFW) სესხის მომსახურების ფარგლებში დღგ - 5 000,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის (ფაზა II) (EBRD) ფარგლებში დამატებული დღგ - 2 000,0 ათასი ლარი), თბილისის ავტობუსების პარკის განახლება - შევსება - 145 412,5 ათასი ლარი (18 მეტრიანი 200 ერთეული 4 ავტობუსის შესაძენად გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად დარჩენილი ვალდებულების დასაფარად), მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა - 300,0 ათასი ლარი (თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის ფარგლებში გადასახდელი დღგ), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდია - 346 190,0 ათასი ლარი (რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა (მეტრო) ტრანსპორტის, საბაგიროს, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მიერ გაწეული მომსახურების საფასური (სააგენტოს საკუთარი სახსრებიდან გათვალისწინებულია 144 000,0 ათასი ლარი); v ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება/ ჩანაცვლება - 209 514,6 ათასი ლარით, შემდეგ პროგრამებზე/ ქვეპროგრამებზე: საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - 11 703,8 ათასი ლარი (მათ შორის ხიდების და გვირაბების მოწყობა რეაბილიტაცია, საყრდენი კედლების მშენებლობარეკონსტრუქცია, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 7 000,0 ათასი ლარი (დაახლოებით 37-მდე შენობა-ნაგებობის გამაგრება), გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია - 33 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 69 893,7 ათასი ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 59 738,2 ათასი ლარი), ავარიული სახლების ჩანაცვლება - 20 000,0 ათასი ლარი (გრძელდება 3 კორპუსის მშენებლობა, ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამგორის რაიონში ბინის ქირით უზრუნველყოფილია 130 ოჯახი - 1 580,1 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში 73 ოჯახი - 852,0 ათასი ლარი, ხოლო ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტისათვის (1კვ. - 286 ლარი) გათვალისწინებულია 2 200,0 ათასი ლარი), ქალაქის განვითარების ხელშეწყობის - 44 911,1 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორიცაა: ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოების, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების

გადასახდელად გათვალისწინებულია 2,500.0 ათასი ლარი); v ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 223 195,4 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (221 611,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 1 584,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 59 801,3 ათასი ლარი (მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მწვანე კუნძულების მოწყობა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერდობებზე ტყის გაშენება, სათამაშო ატრაქციონებისა და სპორტული ტრენაჟორების მცენარეთა შეძენა და სხვა), დასუფთავების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 130 500,0 ათასი ლარი (მათ შორის თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის და თბილისის მუნიციპალური მომსახურების სესხის ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახადის გადასახდელად - 3 500,0 ათასი ლარი, ხოლო საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების შესაძენად - 2 000,0 ათასი ლარი), 5 ბოტანიკური ბაღის და თბილისის ზოოლოგიური პარკის ხელშეწყობისთვის გათვალისწინებულია 9 410,0 ათასი ლარი; v ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 3 079,5 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება შემდეგი პროგრამების დაფინსება: ბიზნესის სტიმულირება - 1 583,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 326,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 130,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა - 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა - 480,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი; v ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი, მათ შორის გლდანის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ნაძალადევის რაიონში - 3 000,0 ათასი ლარი, დიდუბის რაიონში - 3 259,0 ათასი ლარი, ჩუღურეთის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, ვაკის რაიონში - 4 000,0 ათასი ლარი, საბურთალოს რაიონში - 3 500,0 ათასი ლარი, ისნის რაიონში - 4 940,0 ათასი ლარი, სამგორის რაიონში - 5 000,0 ათასი ლარი, კრწანისის რაიონში - 2 567,3 ათასი ლარი, მთაწმინდის რაიონში - 4 030,0 ათასი ლარი. პრიორიტეტის ფარგლებში გრძელდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში სახურავების შეკეთება (ბრტყელი და ქანობიანი გადახურვა), ლიფტების მიმდინარე შეკეთება და რეაბილიტაცია, შიდა წყალკანალიზაციის გაყვანილობების შეკეთება, სადარბაზოების სარემონტო სამუშაოები, შენობის ან/და მისი შემადგენელი ელემენტების კაპიტალური გამაგრებითი სამუშაოები და სხვა ღონისძიებები; v ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 164 975,2 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (154 920,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 055,1 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში ჯანდაცვის პროგრამისათვის განსაზღვრულია 37 453,9 ათასი ლარი, მათ შორის გრძელდება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება. სოციალური დაცვის პროგრამისთვის ჯამში გათვალისწინებულია 127 521,3 ათასი ლარი. გრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური

სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, 6 საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა; v განათლება დაიგეგმა - 261 539,9 ათასი ლარით, რაც 2024 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (248 047,1 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 13 492,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 218 588,2 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: გრძელდება 1 არსებული ბაღის ნაცვლად ახლის მშენებლობა, ხოლო დასრულდება 5 საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა/ რეაბილიტაცია (მათ შორის 2 არსებული ბაღის ნაცვლად ახლის მშენებლობა და 3 ბაღის შენობის კაპიტალური რეაბილიტაცია), გაგრძელდება შემდეგი პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება: სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა, ზოგადი განათლების და სასკოლო პროექტების ხელშეწყობა, უწყვეტი განათლების და სტუდენტური პროექტების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების და დასაქმების ხელშეწყობა, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების ხელშეწყობა, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ხელშეწყობა, იურიდიული კლინიკა და სხვა; v კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 32 444,0 ათასი ლარით. გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია (დასრულდება ჩუბინაშვილის ქუჩაძე 2024 წელს დაწყებული სპორტული ინფრასტრუქტურის (მოედნები, სკეიტპარკი) მოწყობა), სპორტული და კულტურის დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები; გრძელდება ფიზიკური დატვირთვების სკრინინგი (სპორტულ ცენტრებში 18 წლამდე ასაკის ბენეფიციართა ფიზიკური დატვირთვების და ჯანმრთელობის სკრინინგი) და სპორტი უფროსი თაობისთვის (60 წლის და 60 წელს გადაცილებული მოქალაქეებისთვის უსასყიდლოდ სპორტული სერვისებით სარგებლობა). ასევე, გათვალისწინებულია სპორტული, კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობა, კულტურის სფეროს განვითარების ხელშეწყობა და სხვა; v საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 7 779,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები: თბილისის

მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 817,1 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 6 962,1 ათასი ლარით; v ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 253 718,8 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 4 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 7 520,0 ათასი ლარი, 7 თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტის სესხის მომსახურება - 5 924,6 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების მოდერნიზაციის პროექტის სესხის მომსახურება - 8 096,0 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების გადამუშავების პროექტის სესხის მომსახურება - 4 160,0 ათასი ლარი, თბილისის ნარჩენების პოლიგონის გაზშემკრები სისტემის პროექტის სესხის მომსახურება - 2 560,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 13 126,3 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 8 440,6 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 34 968,1 ათასი ლარი. v გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები: დანართი 1 – პროგრამული ბიუჯეტის შესახებ, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი 2 - კაპიტალური პროექტების შესახებ, დანართი 3 - ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, დანართი 4 - სხვა ხარჯების შესახებ, დანართი 5 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა, ა(ა)იპ-ების და სამთავრობო სექტორს მიკუთვნებული სახელმწიფო საწარმოების ბიუჯეტების შესახებ, დანართი 6 - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რომელიც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

კომისიის სხდომა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა, კომისიის გადაწყვეტილებით ბიუჯეტის პროექტის დახვეწისა და სრულყოფის მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი: წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ასახული ინფრასტრუქტურული პროექტები არ არის საკმარისი დედაქალაქის მასშტაბით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად; ასევე არსებული ეკოლოგიური მდგომარეობის გათვალისწინებით გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისთვის (შპს „ეკოსერვის ჯგუფის“) გამოყოფილია არასაკმარისი თანხები; საჭიროა რაიონის გამგეობებისთვის ბიუჯეტიდან თანხების გამოყოფა (მათი ტერიტორიების, მოსახლეობის რაოდენობის, რაიონში არსებული ინფრასტრუქტურული, გზების მოწესრიგების და სოციალიური პრობლემების მასშტაბების პროპორციულად)

აღნიშნულის გათვალისწინებით კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების 72-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის წარმოდგენილი პროექტი", გამოთქმული შენიშვნის გათვალისწინებით გადასამუშავებლად დაუბრუნდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარემ რევაზ სოხაძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე რევაზ სოხაძე